ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4170909

ნომერი: AR1624353

თარიღი : 21.08.2018

გაცემის თარიღი : 19.09.2018

გაცნობის თარიღი : 16.11.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქიზიყი , N 12;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ავთანდილ ლომსაძე პ/ნ 01019015694
- თბილისი სვანეთის ქ. N 23

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 18 მაისის № 1870375 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 21 აგვისტოს #AR1624353 განცხადებით მომართა ავთანდილ ლომსაძემ და მოითხოვა 2015 წლის 18 მაისის № 1870375 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ #01.19.22.002.024 (6116 კვ.მ) საკადასტრო ერთეულზე საწყობის აშენების მიზნით დამტკიცდა 2015 წლის 18 მაისის № 1870375 ბრძანებით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, რომლის შემდგომ შეტანხმდა

არქიტექტურული პროექტი (ბრძანება № 4076650) და გაიცა მშენებლობის ნებართვა (ბრძანება № 4097595).
ამჟამად, განმცხადებელი ითხოვს საპროექტო ობიექტად დამატებით კიდევ ერთი შენობის მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას, რომლის ფუნქციაც იქნება მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა (სამრეწველო საქონლის მაღაზისა და ადმინისტრაცია).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება 2015 წლის 18 მაისის № 1870375 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს: საწყობი და მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა (სამრეწველო საქონლის მაღაზია და ადმინისტრაცია).

საქართველოს ზოგადიადმინისტრაციული კოდექსის63-ე მუხლის თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 18 მაისის № 1870375 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ, საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს: საწყობი და მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა (სამრეწველო საქონლის მაღაზია და ადმინისტრაცია).
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 18 მაისის № 1870375 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.